ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 12

ქალაქი ბათუმი

15 მაისი, 2019 წელი (16 : 00 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
2. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
4. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
5. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
6. თამარ ხუხუნაიშვილი - ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი;
7. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 7, არ ესწრებოდა 4.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

ჯემალ გოგიტიძე - შპს ,,სევერი'', ნინო ნაცვლიშვილი - ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, მარკელა ჩხაიძე - ქალთა და ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მეჯლისი''.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდნენ - აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელისა და ტვ 25 - ის ჟურნალისტები.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 12 (15 მაისი - 2019 წ / 16 : 00 სთ)

საკითხი 1. ავღანეთის ომში დაღუპულ ქართველ მეომართა მემორიალის ადგილმონაცვლეობის საკითხის განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა.

(საფუძველი ქ. ბათუმის მერის მომართვა - N 25/7518 23/04/2019)
მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

საკითხი 2. ქ. ბათუმში სალიფტო უსაფრთხოებისა და სტანდარტების კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები. საბჭოსთვის ზოგადი ინფორმაციის წარმოდგენა - განხილვა.
მომხსენებელი : თამაზ თურმანიძე

საკითხი 3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მრჩეველთა საბჭოში შემოსული წერილების გაცნობა - განხილვა. მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

(მისამართი : ქ.ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. 25 - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი)

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. ავღანეთის ომში დაღუპულ ქართველ მეომართა მემორიალის ადგილმონაცვლეობის საკითხის განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა. (საფუძველი ქ. ბათუმის მერის მომართვა - N 25 / 7518 23 / 04 / 2019) მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

კახაბერ გუჩმანიძემ - ისაუბრა ავღანეთის ომის ისტორიულ ფაქტებსა და გარემოებებზე, აღნიშნა, რომ უამრავი ქართველი მეომარი უცხო ქვეყნის მიწაზე იბრძოდა რაც ტრაგედია იყო ქვეყნისთვის და დაღუპულთა ოჯახებისთვის.

კახაბერ გუჩმანიძემ, თამაზ თურმანიძემ, მაყვალა კვირიკაძემ, გურამ ფუტკარაძემ და სხდომის სხვა დამსწრე პირებმა თავიანთ საუბარში აღნიშნეს, რომ სხვადასხვა ომებსა თუ ბრძოლებში დაღუპული ქართველი მეომრების მარადიულ ხსოვნას მიაგებენ პატივს და ასევე გამოხატავენ თანაგრძნობას ავღანეთის ომში დაღუპულ ქართველ მეომართა ოჯახების მიმართ.

თამაზ თურმანიძე - ,,თანავუგრძნობ ავღანეთის ომში დაღუპულ ქართველ მეომართა ხსოვნას, უამრავი ახალგაზრდა ქართველი შეეწირა ამ ომს რაც დიდი დანაკლისი იყო გენოფონდისთვის''

გურამ ფუტკარაძე - ,, ქართველმა მეომრებმა ყველგან თავგანწირვის მაგალითები აჩვენეს, ავღანეთის ომი იყო ტრაგედია ჩვენი ქვეყნისთვის''

მაყვალა კვირილაძე - ,, პატივს მივაგებ ავღანეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას, ეს დიდი დანაკლისი იყო საქართველოსთვის''

კახაბერ გუჩმანიძე - ,,კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ და გამოვხატავ ღრმა პატივისცემას ავღანეთში ტრაგიკულად დაღუპულ ქართველ მეომართა ხსოვნისადმი და მინდა ავღნიშნო ის სამწუხარო ფაქტი, რომ ავღანეთის ომი არ იყო სამამულო ომი ქართული სახელმწიფოს დასაცავად და იგი საბჭოთა კავშირის ე. წ. ,,ველიკოდერჟავულ'' ამბიციებს ასაზრდოებდა, თუმცა ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ სათანადო პატივი არ მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას''

კახაბერ გუჩმანიძემ ასევე ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებებს და აღნიშნა : -

ავღანეთის ომში დაღუპული ქართველი მეომრები უცხო სახელმწიფოს მიწაზე თავიანთი ნების საწინააღმდეგოთ საბჭოთა კავშირის დამპყრობლურ ომში იღებდნენ მონაწილეობას რაც იმდროინდელი მანკიერი სისტემიდან გამომდინარე იყო ტრაგედია ქვეყნისთვის და დაღუპული მეომრების ოჯახებისთვის.

,, ასევე ნიშანდობლივია, ის გარემოებაც რომ მემორიალის განთავსებისა და ადგილმონაცვლეობის საკითხი ღრმად გააზრებულ მიდგომას მოითხოვს რათა მოიძებნოს ასე ვთქვათ ,,ოქროს კვეთა '' ,, ოქროს შუალედი '' რომ არც დაღუპულ ქართველთა ხსოვნას მიადგეს ჩრდილი და არც მემორიალის განთავსებით გამოწვეული სავარაუდო ასოციაციით გაესვას ხაზი საბჭოური წარსულისადმი ნოსტალგიასა და ე. წ. ,,ველიკოდერჟავული'' (იმპერიალისტური) პოლიტიკის გამართლებას, რაც დააზიანებს სახელმწიფოს შეუქცევად ევროპულ კურსს "

კახაბერ გუჩმანიძე - „ ხაზგასასმელია შემდეგი უტყუარ ფაქტი - ,, ავღანელთა " დიდი ნაწილი შემდგომ წლებში ქართული სახელმწიფოებრიობის დასაცავად გმირულად იბრძოდა - ცხინვალსა და აფხაზეთში, სადაც მათი გარკვეული ნაწილი ასევე გმირულად დაიღუპა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ, რადგან ყველგან გმირობის და თავგანწირულობის მაგალითი აჩვენეს "

კახაბერ გუჩმანიძემ დამატებით აღნიშნა ის ფაქტიც, რომ -

სასურველი იქნებოდა მემორიალის განთავსებამდე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხრიდან (საკრებულოს 2016 წლის 20 აპრილის განკარგულების მიღებამდე) საკითხის ირგვლის საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობით მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღება.

სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრები დაეთანხმნენ სხდომის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებულ გარემოებებსა და ფაქტებს.

საბჭომ მსჯელობის შემდგომ გადაწყვიტა :

,, საბჭო პატივს მიაგებს ავღანეთში დაღუპულ ქართველ მეომართა ხსოვნას თუმცა მიაჩნია, რომ ქ. ბათუმში ჟ. შარტავას ქუჩაზე ,,გმირთა ხეივანი'' ცალსახად უნდა იყოს ადგილი სადაც აჟამად განთავსებულ - ეროვნულ გმირ ჟიული შარტავას ძეგლთან და 9 აპრილის ხსოვნის და

დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავ მემორიალთან ერთად სამომავლოდ ადგილს დაიკავებს საქართველოს უახლეს ისტორიაში ხაზგასმით მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის დასაცავად თავდადებული გმირებისა და საქართველოს ისტორიიდან პატრიოტული ფაქტების ამსახველი მონუმენტები რაც არსებული ძეგლების თემატური გაგრძელება იქნება.''

ასევე მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ - ეთხოვოს ქ.ბათუმის მერიას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად უზრუნველყოთ საზოგადოებრივი განხილვების მოწყობა.

საკითხი ზემოაღნიშნული ფორმულირებით (გადაწყვეტილება) დადგა კენჭისყრაზე, სხდომა ზე დამსწრე საბჭოს წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პოზიციას (გადაწყვეტილება) და ეთხოვა სხდომის თავმჯდომარეს - კახაბერ გუჩმანიძეს ქ. ბათუმის მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება და წარდგენა.

საკითხი 2. ქ. ბათუმში სალიფტო უსაფრთხოებისა და სტანდარტების კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები. საბჭოსთვის ზოგადი ინფორმაციის წარმოდგენა - განხილვა. მომხსენებელი : თამაზ თურმანიძე

თამაზ თურმანიძემ - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გააცნო ის ზოგადი სტანდარტები და არსებული პარამეტრები რაც საცხოვრებელ ბინებში ლიფტის მონტაჟისას არის გათვალისწინებული, ასევე წარმოადგინა მოკლე (ისაუბრა) ინფორმაცია სალიფტო უსაფრთხოების კუთ - ხით ქალაქში არსებულ მდგომარეობაზე რამოდენიმე კონკრეტული მაგალითის საფუძველზე და აღნიშნა, რომ სალიფტო უსაფრთხოების საკითხი და არსებული ტექნიკური პარამეტრე - ბის ზედმიწევნით დაცვა ქალაქის ერთერთი მთავარი გამოწვევაა რაც დეტალურ შესწავლას და ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

თამაზ თურმანიძემ - მოკლედ ისაუბრა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ უსაფრთხოების სტანდარტებზე და ღნიშნა, რომ საქართველომ მას შემდეგ რაც ევროკაშირის ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი შეუერთდა და აიღო ვალდებულება გაატაროს ღონისძიებები სხვადასხვა კუთხით, მათ შორის შრომის უსაფრთხოება და ასევე სამშენებლო სტანდარტების დაცვა უმთავრესი პრიორიტეტია.

თამაზ თურმანიძემ - ასევე მოიყვანა რომედენიმე სავალალო ფაქტი რაც მაღალსართულიან სახლში ლიფტის ბუნკერში (შახტა) ჩავარდნით დასრულდა, რასაც საბედნიეროთ მსხვერპლი არ მოჰყოლია, ასევე დასძინა, რომ ხშირია ტექნიკურად გაუმართავი ლიფტები რაც დისკომ- ფორტს უქმნის მაცხოვრებლებსა და ტურისტებს.

თამაზ თურმანიძემ - დამატებით ხაზი გაუსვა იმ აუცილებელ გარემოებას, რომ სალიფტო უსაფრთხოების კუთხით აუცილებელია ლიფტის მონტაჟს ახორციელებდეს სერთიფიცი რებული და გამოცდილი კომპანია.

საუბარში აქტიურად ჩაერთნენ საბჭოს წევრები.

თემურ კაკაბაძემ - განაცხადა, რომ უკანასკნელ პერიოდში ახალაშენებული მაღალსართული ან სახლებში არაა ადაპტირებული გარემო და ბუნებრივია არც ადაპტირებული ლიფტებია, ტურისტულ ქალაქში კი ეს უმთავრესი წინაპირობაა.

თემურ კაკაბაძემ დეტალურად ისაუბრა მოქმედ რეგულაციებზე და მაგალითისთვის მოიყვანა კონკრეტული მუხლები.

თემურ კაკაბაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის № 41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „შენობა – ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე და ასევე N 41 2014 წლის 6 იანვარის - შეზღუდული შესაძ - ლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის მე - 7 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით : -

„ დონეთა ვარდნის ადგილებში, სადაც შეუძლებელია მოეწყოს პანდუსი, საჭიროა გათვალის წინებულ იქნას ლიფტების, ანდა სპეციალური ამწეების დაყენება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი უნდა იყოს ეტლიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი სარგებლობისათვის.“

მე - 2 პუნქტით „ მიწისპირა სართულზე მაღლა მდებარე ყველა ბინისათვის და სათავსოსათვის, თუკი ისინი განკუთვნილია ეტლიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ლიფტი, რომლის კაბინის ზომები უნდა იყოს სიგანით არანაკლებ სიგანე - 1,1 მ-ის, და სიღრმე 1,4 -მ-ის, ხოლო კარის ღიობის სიგანე უნდა იყოს 0,90 მ. ლიფტებს უნდა ჰქონდეს ავტონომიური სამართავი კაბინიდან და ქუჩაში უშუალოდ გასასვლელი სართულის დონიდან. “

მე - 3 პუნქტით „ სამი და მეტი სართულის მქონე შენობებში, რომელთა ზედა სართულზეც გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოხვედრა ან ცხოვრება, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას არანაკლებ ერთი ლიფტისა, რომელმაც ხანძრის, მიწისძვრისა და სხვა განსაკუთრებულ სიტუაციების დროს უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მოხუცთა ევაკუაცია.“

მე - 6 პუნქტით „ ლიფტის კაბინა, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ტრანსპორტირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადისპეჩერო პუნქტთან ორმხრივი სასწრაფო საავარიო სატელეფონო კავშირით. ლიფტის კაბინაში მოთავსებულ ორმხრივი კავშირის აპარატს უნდა ჰქონდეს ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა, ხოლო აუცილებლობისას - სინქრონული ვიზუალური ინფორმაციის მიღების უზრუნველმყოფი მოწყობილობაც.“

მე - 9 პუნქტით „ ყველა ღილაკი აღნიშნული უნდა იყოს ტაქტილური ასოებით, ხოლო უსინათლოებისათვის - ბრაილის სისტემის შრიფტით. ლიფტის მოძრაობის მიმართულების მაჩვენებელი სიგნალი უნდა იყოს როგორც სმენითი, ასევე ვიზუალური.“

თემურ კაკაბაძემ თქვა - ,, ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია ზოგადი არსებული რეგულაციების, რაც ხშირ შემთხვევაში არაა გათვალისწინებული შესაბამისი სამსახურების მხრიდან''

თამაზ თურმანიძე - ,, შემოვდივარ წინადადებით უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოვითხოვოთ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია სალიფტო სტანდარტების აღსრულების კუთხით, რათა შევძლოთ დარგის ექსპერტებთან კონსულტაციის გზით დავდოთ კონკრეტული ანალიზი და მერიას წარვუდგინოთ მოსაზრებები ''

თემურ კაკაბაძე - ,, ვფიქრობ ასევე მიზანშეწონილი იქნება საბჭო აქტიურად ჩაერთოს უკანასკნელ პერიოდში აშენებულ მრავალსართულიან სახლებში სალიფტო სტანდარტების კუთხით არსებული მდგომარეობის მონიტორინგში ''

საბჭოს დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობა დაეთანხმა თამაზ თურმანიძისა და თემურ კაკაბაძის ინიციატივებს.

საკითხი 3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მრჩეველთა საბჭოში შემოსული წერილების გაცნობა - განხილვა. მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

კახაბერ გუჩმანიძემ სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან საბჭოს გადმოეგზავნა წერილები მათ შორის მერიის ადმინისტრაციიდან - ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს წერილი კერძოთ პროგრამა - მუნიციპალური სერვისების განვითარება და ასევე შპს ,,ბათუმის წყლის'' ინფორმაცია ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო შემოსული წერილები და აღნიშნა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდგომშიც აქტიურად გააგრძელებს მერიასთან თანამშრომლობას და სხვადასხვა საკითხების უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოითხოვს შესაბამის ინფორმაციას.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა რომ ზემოაღნიშნული წერილები მუნიციპალიტეტის მერიამ საბჭოს მიმდინარე წლის 23 აპრილის წერილის პასუხად მოწერა სადაც საბჭო მერს თხოვდა შეესრულებინა ვალდებულება და დებულების მე - 6 მუხლის 1 - ლი პუნქტის თანახმად საბჭოსთვის მოეწოდებინა ინფორმაცია - მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების, ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების და სხვა შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არსებული წესით საბჭოს განსახილველად უნდა ეგზავნებოდეს დამტკიცებამდე გარკვეული პერიოდით ადრე მოსაზრებების წარმოსადგენად.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ასევე მუნიციპალიტეტის მერის რეზოლუციით საბჭოსთვის შესწავლისა და შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით გადმოგზავნილი მერიაში შესული შპს ,,სევერის'' წერილი (13318/25 10.05.2019წ) სადაც განმცხადებელი ჯემალ გოგიტიძე (შპს ,,სევერი''-ს დირექტორის მინდობილი პირი) მიმართავდა ქ. ბათუმის მერს ბ-ნ ლაშა კომახიძესა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ კახაბერ გუჩმანიძეს. ჯემალ გოგიტიძე განცხადებაში აღნიშნავდა, რომ კომპანია ,,სევერი'' მერიის კონტრაქტორი კომპანიაა და მიუსაფარ, უპატრონო ძაღლთა მიმართ პირნათლად ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და ვალდებულებებს, თუმცა უკანსკნელი პერიოდის მანძილზე კომპანიის მიმართ, როგორც განცხადებაშია აღნიშნული ხორციელდება დაუმსახურებელი და ცილისმწამებლური ბრალდებების გახმოვანება მედიისა და სოც. ქსელების საშუალებით, რის გამოს განმცხადებელი მიმართავს ქ. ბათუმის მერს უზრუნველყოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩართულობა საკითხის შესწავლა-მონიტორინგის კუთხით რათა მეტი სიცხადე შესძინოს საზოგადოებას არსებული კუთხით.

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა სხდომაზე სტუმრის სტატუსით დამსწრე ბ-ნ ჯემალ გოგიტიძეს რომ დეტალურად გაეცნო არსებული მდგომარეობა.

ჯემალ გოგიტიძემ საბჭოს დაწვრილებით გააცნო ძაღლთა თავშესაფარში არსებული მდგომარეობა და ისაუბრა ყოველდღიურ სამუშაო პროცესზე, ასევე აღნიშნა ის ღონისძიებები და ტექნიკური დეტალები რაც წლების მანძილზე იქნა განხორციელებული კომპანიის მიერ, საბჭოს წევრებმა ჯემალ გოგიტიძეს დაუსვეს რიგი კითხვები იმ ყოველდღიურ აქტივობებზე რასაც კომპანია ახორციელებს უპატრონო ძაღლებთან მიმართებაში, რაზედაც ჯემალ გოგიტიძემ განუცხადა, რომ ყოველდღიურ რეჟიმში მიუსაფარ ძაღლებს ეწევათ შესაბამისი დახმარება - საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ კასტრაცია, ვაქცინაცია, ევთანაზია და

სხვა... ასევე ჯემალ გოგიტიძემ თხოვა საბჭოს წევრებს გამოენახათ დრო და ადგილზე გაცნობოდნენ ოპერაციულ პროცესს.

კახაბერ გუჩმანიძე - ,, მე პირადად რამოდენიმე კვირის უკან კერძო ვიზიტით ვსტუმრობდი ძაღლების თავშესაფარს და საშუალება მქონდა პირადად ადგილზე გარკვეულწილად გავცნობოდი არსებულ ვითარებას, ვფიქრობ, რომ კონტრაქტორ კომპანიას გამოცდილი სპეციალისტები ყავს, რომლებიც ძალღონეს არ იშურებენ ''

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს რომ დაესახელებინათ მათთვის შესაფერისი თარიღი და ადგილზე გასვლით გაცნობოდნენ ძაღლების თავშესაფარში არსებულ სიტუაციას, საბჭოს წევრებმა მისაღებად ჩათვალეს მიმდინარე წლის 20 მაისი 14:00 სთ.

საბჭომ გადაწყვიტა : -

მიმდინარე წლის 20 მაისს 14 : 00 სთ - ზე ადგილზე გასვლით განახორციელონ ძაღლების თავშესაფარში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი, ხოლო შედეგების შესახებ საბჭოს მოსაზრებების ქ. ბათუმის მერისთვის წერილობით მიწოდება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

ღია კენჭისყრით აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საკითხს.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

15 მაისი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	მ. ბურკენაძე
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	მ. კვირიკაძე
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	თ. კაკაბაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

15 მაისი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	ჟურ. CEREP		
2.	[illegible]	ორგ. „[illegible]"	574-51-09-09	
3.	[illegible]	AYEG	595625415	
4.				
5.				